



## წლის ანგარიში

2014

1. ჩვენს შესახებ - სააგენტოს მისია, მიზნები, მიმართულებები, ორგანიზაციული სტრუქტურა, საქმიანობის ორგანიზება
2. სააგენტოს სტრატეგია 2015-2018 წლებისთვის.
3. პროექტები და აქტივობები -2014:

### *3.1 ელექტრონული მმართველობა;*

- 4.1.1. საკანონმდებლო ბაზა;
- 4.1.2. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა - Georgian Governmental Gateway;
- 4.1.3. მოქალაქის პორტალი.
- 4.1.4. ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრი;
- 4.1.5. საქართველოში საერთაშორისო ვაჭრობის ხელშემწყობი საინფორმაციო სისტემა;
- 4.1.6. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო სისტემის ინფრასტრუქტურის შექმნა;
- 4.1.7. Data.gov.ge;
- 4.1.8. სახელმწიფოს ელექტრონული სერვისების კატალოგი;
- 4.1.9. TWINING-ის პროექტი - „საქართველოს ელ-მმართველობის განვითარების ხელშეწყობის შესახებ“

### *3.2 ინფორმაციული უსაფრთხოება;*

- 3.2.1 საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“
- 3.2.2 საქართველოს კიბერ უსაფრთხოების სტრატეგია
- 3.2.3 კონსულტაცია ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დანერგვაში
- 3.2.4 მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის კუთხით
- 3.2.5 CERT.GOV.GE - პარტნიორები, სერვისები და პროექტები;

### *3.3 საზოგადოებასთან ურთიერთობა;*

## **ჩვენს შესახებ - სააგენტოს მისია, მიზნები, მიმართულებები, ორგანიზაციული სტრუქტურა, საქმიანობის ორგანიზება**

### **სააგენტოს მისია**

სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას ელექტრონული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი სისტემის შექმნა, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, ასევე ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა.

### **მიზნები**

სააგენტო მიზნად ისახავს მოქალაქეებისთვის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორისთვის სახელმწიფოს ელექტრონული სერვისების უსაფრთხოდ, ეფექტურად, ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ორგანიზაციების და კერძო სექტორის ინფრმციის, საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების ურთიერთავდებადობის მიღწევას და მონაცემების ეფექტიანად და უსაფრთხოდ გაცვლის უზრუნველყოფას, რაც ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის გაუმჯობესებასა და საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობის ზრდას.

### **პრეისტორია**

მონაცემთა გაცვლის სააგენტო შეიქმნა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონით. კანონის შესაბამისად, 2009 წლის 22 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება #228 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“. მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ფუნქციონირება დაიწყო 2010 წლის 1-ლი იანვრიდან.


### **ძირითადი მიმართულებები**

სააგენტო თავის საქმიანობას სამი ძირითადი მიმართლებით ახორციელებს. პირველ მიმართულებას წარმოადგენს *ელექტრონული მმართველობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება*, რაც გულისხმობს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) განვითარების ხელშეწყობას, ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) სფეროს განვითარებისათვის აუცილებელი სტანდარტების შემუშავებას და ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებას.

მეორე მიმართულებას წარმოადგენს *მონაცემთა გაცვლის ერთიანი ინფრასტრუქტურის შექმნა*. ქვეყნის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მუდმივი და სწრაფი განვითარების პირობებში, სახელმწიფო მმართველობის პროცესები სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საინფორმაციო სისტემებზე. ხშირ შემთხვევაში ეს სისტემები სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით არის აგებული და მათ შორის კავშირის დამყარება დიდ რესურსებს მოითხოვს. იმისათვის, რომ ქვეყნის ნებისმიერო სუბიექტისათვის ინფორმაცია ადვილად მისაღები გახდეს, საჭირო გახდა ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების გაერთიანება ერთ ლოგიკურ გეოგრაფიულად განაწილებულ სისტემაში და ყველა ელექტრონული სერვისის მიწოდება ერთი ფანჯრის პრინციპით, რის საშუალებასც გვამლევს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა - სქართველოს სამთავრობო კარიბჭე (Georgian Governmental Gateway). ინფრასტრუქტურაში ჩართულ სუბიექტებს საშუალება აქვთ გაცვალონ ინფორმაცია ელ-სერვისების საშუალებით. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების დაკავშირება ხდება მათი მხრიდან მინიმალური დანახარჯებით. უკვე არსებული საინფორმაციო სისტემებისთვის საჭიროა მხოლოდ მონაცემთა ადაპტერის დამატება, რომელიც აუცილებელია ერთიან სისტემასთან კავშირის უზრუნველსაყოფად. სისტემა საშუალებას იძლევა შეიქმნას ახალი კომბინირებული ელექტრონული სერვისები და გაცილებით ეფექტურად, ნაკლები დანახარჯებით განხორციელდეს ერთი ფანჯრის პრინციპით, მოქალაქის პორტალის გამოყენებით ელექტრონული სერვისების მოსახლეობისთვის მიწოდება.

მესამე პრიორიტეტულ მიმართულებას წამოადგენს სახელმწიფო სექტორში და კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში *ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა*. ქვეყნის ინფორმაციული ინფრასტრუქტურის მუდმივი და სწრაფი განვითარების პირობებში, სახელმწიფო მმართველობის პროცესები სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საინფორმაციო სისტემებზე, მეორე მხრივ, ბიზნეს-პროცესების ავტომატიზირებული მართვა იწვევს დამატებით რისკ ფაქტორებს, რომლებიც უკავშირდება საჯარო, სამსახურებრივი, პირადი საიდუმლო და სხვა სახის ინფორმაციის გამიჯვნას, მათი გაცვლის და მათზე წვდომის მოწესრიგებას და მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის გამორიცხვას. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი ამოქმედება გულისხმობს მოქმედ საკანონმდებლო ბაზას, შესაბამისი აღსრულების მექანიზმით, რომლებიც დაარეგულირებს ყველა საჯარო სამსახურის და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ერთიან ნორმატიულ სივრცეში მოქცევას ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით. ასევე მნიშვნელოვანია საჯარო სექტორში და კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტებში ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვისთვის რეკომენდაციებისა და მექანიზმების შემუშავება, აღნიშნული სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარება; ნორმატიულ ბაზასან ერთად კრიტიკულ საკითხს წარმოადგენს კომპიუტერული ინციდენტების პრევენციისა და ინციდენტებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირების სისტემის შექმნა. ამ მიზნით მონაცემთა გაცვლის სააგენტოში შეიქმნა და აქტიურად ფუნქციონირებს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი (CERT.GOV.GE)

# სააგენტოს სტრუქტურა



## მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სტრატეგია (2014-2017)

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ 2014 წელს შეიმუშავა ელექტრონული მმართველობის განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგია 2015-2018 წლებისთვის, რომლის განხორციელების მოსალოდნელი შედეგებია:

- 2018 წლის ბოლომდე მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩართული იმ სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების 100%, რომლებიც ახორციელებენ ელექტრონულ მომსახურებას და სხვა ორგანიზაციებთან მონაცემების სისტემატურად გაცვლას;
- 2017 წლის მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობა აღწევს თვეში საშუალოდ 2 მლნ ტრანზაქციას;
- 2018 წლის ბოლომდე მოქალაქის პორტალზე ინტეგრირებულია ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დამატებით 50-მდე ელექტრონული სერვისი;
- 2018 წლის ბოლომდე მოქალაქის პორტალზე დარეგისტრირებულია არანაკლებ 0.2 მილიონი მომხმარებელი;
- 2017 წლის ბოლომდე სახელმწიფო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის სერვისის საშუალებით გაგზავნილია არანაკლებ 2000 ელექტრონული გზავნილი;
- 2018 წლის ბოლომდე ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემა მოიცავს ყველა სახის საზღვაო და სახმელეთო ტვირთს;
- 2017 წლის ბოლომდე ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემაში ტრანზაქციების რაოდენობა წელიწადში აღემატება 0.5 მილიონს;
- 2017 წლის ბოლომდე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო სისტემის ინფრასტრუქტურის საშუალებით გაგზავნილია არანაკლებ 500 000 ოფიალური ელექტრონული დოკუმენტი;
- 2018 წლის ბოლომდე მონაცემთა ერთიანი სახელმწიფო რეესტრში არანაკლებ 100 სახელმწიფო ორგანიზაციის მონაცემთა ასახვა, 20-ზე მეტი რეკომენდაციის შემუშავება და მიწოდება;
- 2016 წლის ბოლომდე ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებულია 100-ზე მეტი მონაცემთა ცხრილი (dataset) და API;
- 2017 წლის ბოლომდე ამ მონაცემებზე დაყრდნობით ბიზნესი შექმნის არანაკლებ 30 აპლიკაციას;
- 2018 წლის ბოლომდე ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების გამოვლენა გაიზრდება 70%-ით, თითოეულ მნიშვნელოვან ინციდენტზე მოხდება რეაგირება. 2018 წლის ბოლომდე ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკაში კრიტიკული საინფორმაციო სისტემის სუბიექტების 80%-ის ჩართვა, რომელთაგან 60% შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## პროექტები და აქტივობები -2014

### *ელექტრონული მმართველობა;*

#### **საკანონმდებლო ბაზა**

მონაცემთა გაცვლის სააგენტოში ევროკავშირის მიერ „სამეზობლო პოლიტიკის“ (ENPI) ფარგლებში დაფინანსებული „დამობილების“ (Twinning) პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ელექტრონული მმართველობის საკანონმდებლო ბაზის შესწავლას, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან და EU acquis-თან საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს თავსებადობისა და შესაბამისობის ანალიზს და სამართლებრივი ბაზის შემდგომ დახვეწასა საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ცვლილებებისა და დამატებების ინიცირების გზით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საქართველოში მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და პროექტის ინიცირებითა და სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარდა რამდენიმე სემინარი, დისკუსია, ვორქშოპი. სამუშაო ჯგუფთან ერთად შემუშავდა ელ-მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც საბოლოო ჯამში დარედაქტირდა ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის კანონში ცვლილებებისა და დამატებების პაკეტად. ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს საჯარო სამსახურის ეფექტიანობისა და მისი მომსახურების სიმარტივისა და ხელმისაწვდომობის ზრდას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ხოლო „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებული ცვლილებების პროექტის მთავარი მიზანია ელექტრონული ხელმოწერისა და მასთან დაკავშირებული სანდრო სერვისების მარეგულირებელ ევროპულ დებულებებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. ორივე კანონპროექტი, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების და დამატებების შესახებ და „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი წარდგენილია იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედებით დეპარტამენტში ექსპერტიზისთვის.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ავსტრიელი ექსპერტების ერთობლივი მუშაობის საფუძველზე ასევე ჩამოყალიბდა ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშემწყობი სამართლებრივი პრინციპების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც სახელმძღვანელოდ (როგორც “soft regulation”-ი) შესაძლოა გამოყენებულ იქნას ელექტრონული კომერციის რეგულირებისას.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ავსტრიელი ექსპერტების მიერ ერთობლივად განხორციელდა ინფორმაციული უსაფრთხოების საკანონმდებლო რეგულირების დახვეწის მიმართულებით კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ინფორმაციული აქტივების კლასიფიცირების პრინციპების შესწავლას, საჯაროობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით ინფორმაციის კონფიდენციალურად ცნობას შორის ბალანსის დაცვას. კვლევა და კვლევის შედეგი წარდგენილია იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტში შემდგომი განსჯისთვის.

## მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა - Georgian Governmental Gateway

პროექტის მიზანია უზრუნველყოფილი იქნას საჯარო სექტორში არსებული ინფორმაციული სისტემების ინტეგრაცია და ინფორმაციულ რესურსებსა და სერვისებზე სტანდარტიზირებული წვდომა.

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა, საქართველოს სამთავრობო კარიბჭე, არის აპარატურულ/პროგრამული კომპლექსი, რომელიც ქმნის სახელმწიფოს მსაშტაბით ერთიან გეოგრაფიულად განაწილებულ ინფორმაციულ სისტემას. სისტემაში ჩართულ სუბიექტებს ელექტრონული სერვისების საშუალებით ინფორმაციის უსაფრთხოდ გაცვლის საშუალება აქვთ. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების დაკავშირება ხდება მათი მხრიდან მინიმალური დანახარჯებით. უკვე არსებული საინფორმაციო სისტემებისთვის საჭიროა მხოლოდ მონაცემთა ადაპტერის დამატება, რომელიც აუცილებელია ერთიან სისტემასთან კავშირის უზრუნველსაყოფად. ზემოთ აღნიშნული სისტემა გააუმჯობესებს ინფორმაციასთან წვდომას და უზრუნველყოფს მის დაცულობასა და საიმედოობას. ასევე სისტემა საშუალებას მოგვცემს შეიქმნას ახლი კომბინირებული ელექტრონული სერვისები და გაცილებით ეფექტურად, ნაკლები დანახარჯებით უზრუნველყოთ ერთი ფანჯრის პრინციპით მომსახურეობის მოსახლეობისთვის მიწოდება. 2011 წელს საერთაშორისო ვენდორების მხარდაჭერით (HP, Microsoft) შეიქმნა მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაამჟამად ინფრასტრუქტურაში 2012 წლისთვის ჩართული იყვნენ შემდეგი ორგანიზაციები: საჯარო რეესტრი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, შემოსავლების სამსახური, შსს, ჯანდაცვის სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ალდაგი.

2014 წელს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში დამატებით ჩაერთო 33 ახალი ორგანიზაცია.

ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობამ 2014 წელს გადააჭარბა 20 მილიონს.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სპეციალისტებმა 2014 წელს ჩაატარეს სამთავრობო კარიბჭისა და მოქალაქის პორტალის დანერგვის ტრენინგი ალბანეთის ინფორმაციული საზოგადოების ეროვნული სააგენტოსა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის.

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მდგრადობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით ტენდერის საფუძველზე შექმნილი იქნა ძირითადი კომპიუტერული ტექნიკა სარეზერვო დატაცენტრისთვის.

დანერგილია სამთავრობო კარიბჭის ახალი ვერსია (GG 2012) სატესტო და რეალურ გარემოში. სამთავრობო კარიბჭეზე ახალ ვერსიაზე მორგებულია და გაშვებულია რეალურ გარემოში მოქალაქის პორტალი და სხვა პროდუქტები.

2014 წელს დაიწყო ადამიანური რესურსების მართვის სახელმწიფო HR სისტემების ინტეგრაცია და კონსოლიდირებული ანგარიშგების სისტემის შექმნა. სისტემის მიზანია საქართველოს საჯარო სექტორში არსებული სხვადასხვა HR სისტემების ინტეგრაცია მონაცემთა გაცვლის ინტასტრუქტურაში და მათ მონაცემთა ბაზაში დაცულ მონაცემებზე დაყრდნობით ზოგადი სტატისტიკური ანგარიშების წარმოების უზრუნველყოფა. სისტემას უნდა ქონდეს საშუალება, აწარმოოს სხვადასხვა HR სისტემებში დაცული ინფორმაციის კონსოლიდაცია და მათზე დაყრდნობით საერთო ანგარიშგება. სისტემაში უნდა არსებობდეს ქვეყნის მასშტაბით უნიკალური სხვადასხვა ცნობარი, მაგალითად: თანამდებობების ნუსხა, პროფესიების ნუსხა და ა.შ. ამ ეტაპზე სისტემის ფუნქციონალი აღწერილია,

ანგარიშების შაბლონები აღწერილია. დამკვეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მოხდება სისტემის ტექნიკური რეალიზაცია.

## **მოქალაქის პორტალი ([www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)) - ელექტრონული სერვისების ერთიანი სისტემის შექმნა**

პორტალი წარმოადგენს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის საპრეზენტაციო შრეს. ეს არის ერთიანი ვებ-ინტერფეისი, სადაც თავმოყრილია სახელმწიფო და ბიზნეს-სექტორის მიერ რეალიზებული სხვადასხვა ელექტრონული სერვისი, აგრეთვე კომბინირებული ელექტრონული სერვისები. მოქალაქის პორტალის მიზანია ერთი ფანჯრის პრინციპით და მაქსიმალურად მოხერხებული ინტერფეისით მომხმარებელს (მოქალაქე, ბიზნესი, არარეზიდენტი) მიაწოდოს საჯარო სექტორში არსებული სერვისები ელექტრონული ფორმით.

მოქალაქის პორტალზე სრულად არის რეალიზებული მოქალაქის ფუნქციონალი. არსებული სახელმწიფო სერვისებიდან ინტეგრირებულია 56 სერვისი. ასევე, თითოეულ მოქალაქეს საშუალება აქვს პორტალიდან გადაიხადოს 80-მდე კომუნალური და სხვა სახის გადასახადები. პორტალზე ავტორიზაცია ხდება ელექტრონული პირადობის (ID Card) მოწმობის საშუალებით, ამასთან 2013 წელს მოქალაქის პორტალის ფუნქციონალს დაემატა მომხმარებლების რეგისტრაცია მომხმარებლის სახელითა და პაროლით - შეიქმნა პორტალზე სარეგისტრაციო სისტემა იუსტიციის სახლების ოპერატორებისთვის. მომხმარებლის სახელისა და პაროლის მისაღებად საკმარისია იუსტიციის სახლში ერთჯერადი ვიზიტი.

მოქალაქის პორტალის საშუალებით შესაძლებელი გახდა სახელმწიფო დაწესებულებებიდან ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვნა ერთი ფანჯრის პრინციპით. დაინტერესებულ მოქალაქეს, ან ორგანიზაციას საშუალება აქვს მოქალაქის პორტალის საშუალებით მიმართოს სახელმწიფო დაწესებულებას და მისი გზავნილს ოფიციალური წერილის ძალა ექნება. წერილის ავტორს პასუხი ასევე ელექტრონული სახით მიეწოდება მოქალაქის პორტალის საშუალებით. სერვისში ჩართულია სახელმწიფო დაწესებულებების 64 ცენტრალური და 501 რეგიონალური ოფისი. სულ აღნიშნული სერვისის საშუალებით 2014 წელს სახელმწიფო დაწესებულებებში გაგზავნილია 505 წერილი.

მოქალაქის პორტალზე - My.gov.ge 2014 წელს დარეგისტრირდა 7740-ზე მეტი მომხმარებელი;

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, საჯარო რეესტრთან, განათლების სამინისტროსთან და შსს-ს მომსახურების სააგენტოსთან შეთანხმდა მათი სერვისების პორტალზე ინტეგრაციის საკითხი, შედგა შეხვედრები და მიმდინარეობს მუშაობა 20-მდე სერვისის ინტეგრაციაზე;

აღსრულების სამსახურთან შეთანხმდა მათი სერვისების პორტალზე ინტეგრაციის საკითხი, დაინტეგრირდა 2 სერვისი, აღწერილია ელექტრონული სააღსრულებო წარმოების სერვისის ფუნქციონალი, მიმდინარეობს მისი ტექნიკური რეალიზაცია.



სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (სსგს) კომპანია UGT-თან ერთად ახორციელებს მუნიციპალიტეტებისთვის საინფორმაციო სისტემების შემუშავების პროექტს. დღის წესრიგში დადგა მუნიციპალური სერვისების ინტერგაციის საკითხი მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში, შესაბამისად მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ მოქალაქის პორტალის საშალებით ისარგებლონ, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე მუნიციპალიტეტების ელექტრონული სერვისებითაც. სსგს-თან აწყობილია კავშირები, როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე მენეჯმენტის და ბიზნეს-პროცესების დონეზე. დასაინტეგრირებელი სერვისები იდენტიფიცირებულია, აღწერილია სერვისები G3-ის მოთხოვნებთან შესაბამისად და დაწყებულია მათი ეტაპობრივი ინტეგრაცია. პირველ ეტაპზე დაგეგმილია 10 მუნიციპალური სერვისის ინტეგრაცია.

## **საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერი სისტემის შექმნა (ერთიანი სავაჭრო ქსელი)**

სისტემის მიზანია საკონტინენტო გადაზიდვების პროცესში (იმპორტ/ექსპორტი) ჩართულ კერძო და სახელმწიფო სუბიექტებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის პროცესის გამარტივება, რაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი სარგებელს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული მხარეებისათვის;

პირველ ეტაპზე სისტემა მოიცავს საკონტინენტო გადაზიდვებს ბათუმისა და ფოთის პორტის გავლით. შემუშავებულია არსებული პროცესების ბიზნეს ანალიზისა და ოპტიმიზებული პროცესების ბიზნეს ანალიზის დოკუმენტები. შექმნილია სამუშაო ჯგუფი. განხორციელდა საერთაშორისო საზღვაო ხაზებს, პორტებს, გადამზიდავ კომპანიებს, ტერმინალებს, რკინიგზასა და საბაჟოს შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შექმნა. სისტემის მომხმარებელთა ჯგუფებისთვის შექმნილია მოსახერხებელი ინტერფეისები. განხორციელდა სისტემის ტესტირება მომხმარებლის სხვადასხვა ინტერფეისებისთვის.

ქ. ფოთში გაიმართა ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის სატესტო ჩვენება, ჩატარდა ექსპედიტორთა ტრენინგების ტრენინგი, რომელშიც უნდა დაეხმარონ 300-მდე ქართველ ექსპედიტორულ კომპანიას სისტემის ფუნქციონალის სრულყოფილად ათვისებაში; ამ ეტაპზე დატრენინგებულია 60 ექსპედიტორი; დაიწყო სისტემის ტესტირება ოპერაციულ გარემოში ფოთის პორტისა და საბაჟო დეპარტამენტის მონაწილეობით.

შემდეგ ეტაპზე სისტემამ უნდა მოიცვას ყველა სახის სახმელეთო და საჰაერო ტვირთი.

## **ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო სისტემის ინფრასტრუქტურის შექმნა**

პროექტის მიზანია სახელმწიფო სექტორში ოფიციალური ელექტრონული დოკუმენტების მოძრაობის მოწესრიგება, ელექტრონულად დაბადებული დოკუმენტის მთელი სასიცოცხლო ციკლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სახელმწიფო უწყებების იყენებენ ელექტრონული საკმისწარმოების რამდენიმე სისტემას. დღის წესრიგში დადგა მათი ერთმანეთთან ინტეგრაცია, რისთვისაც ყველაზე ეფექტურ და უსაფრთხო

მექანიზმს წარმოადგენს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა. სხვადასხვა სისტემების მიერ მომზადებული ელექტრონული დოკუმენტების ურთიერთთავსებადობისთვის შეიქმნა ერთიანი სტანდარტი სახელმწიფო სტრუქტურების კანცელარიის პროგრამებისათვის, რათა მომხდარიყო კორესპონდენციის სტანდარტული მიმოცვლა. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში დაინტეგრირდა შსს-ს, საჯარო რეესტრისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კანცელარიის ინფორმაციული სისტემები, რომლებსაც სახელმწიფო დაწესებულებების 70%-ზე მეტი იყენებს, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის დოკუმენტების ელექტრონულად ურთიერთგაცვლა და მოქალაქის პორტალის საშუალებით ამ ორგანიზაციებიდან ინფორმაციის ელექტრონული გამოთხოვა.

2014 წელს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო ინფრასტრუქტურის გავლით გაიგზავნა 203732 ოფიციალური ელექტრონული დოკუმენტი. თუ ჩავთვლით რომ საშუალოდ სტანდარტული (1-2 გვერდი) წერილის გაგზავნა საქართველოს ფოსტის საშუალებით ჯდება 3-4 ლარი (მხოლოდ თბილისის მამტაბით) და არ გავითვალისწინებთ დროის ფაქტორს, კონვერტის, ქაღალდის, და ბეჭდვის ხარჯებს, მაშინ მინიმალური დანაზოგი მხოლოდ ამ სერვისის შემოღებით უკვე 1 000 000 ლარს აჭერბებს.

## ღია მონაცემების პლატფორმის (Data.gov.ge) განვითარება

დღეისათვის საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებები ფლობენ დიდი ოდენობით ციფრულ მონაცემებს, როლებიც დააგროვეს უფლებამოსილების განხორციელებისას, ან მათზე დაყრდნობით ანხორციელებენ თავიანთ საქმიანობას. ამ მონაცემების ნაწილის პროაქტიულად გამოქვეყნებას სახელმწიფო დაწესებულებებს ავალდებულებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. აღსანიშნავია, რომ ყველა სახის საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაცია ვერ ჩაითვლება ღია მონაცემებად, იმდენად, რამდენადაც ღია მონაცემები გულისხმობს ე.წ. ნედლ, პირველად მონაცემებს, რომლებიც გამოქვეყნებულია ელექტრონული ცხრილის შესაბამის გამოთვლად ფორმატში (მაგ. CSV, Open XML), ან ხელმისაწვდომია ელექტრონული სერვისის საშუალებით (API). ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ გამოქვეყნებული მონაცემები წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით განახლდეს და ყოველთვის რეალობასთან შესაბამისი იყოს. ამ მიზნით შეიქმნა ღია მონაცემების ქართული პორტალი data.gov.ge, რომელზეც გამოქვეყნება ღია მონაცემები შესაბამის მეტა-მონაცემებთან ერთად, აგრეთვე მასზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ამ მონაცემების გამოყენების შესახებ.

ღია მონაცემების იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის მომზადდა წერილი და კითხვარი, რომელიც დაეგზავნა სახელმწიფო დაწესებულებებს. კითხვარების შევსების პროცესში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სპეციალისტებმა გაუწიეს პირადი და სატელეფონო კონსულტაცია 60-ზე მეტი ორგანიზაციის წარმომადგენლებს. დაწყებულია კითხვარების მონაცემების დამუშავება. საერთო ჯამში მიღებულია 140-მდე კითხვარი. რეალიზებულია და რეალურ რეჟიმში გაშვებულია პორტალი data.gov.ge. პორტალზე ატვირთულია 56 მონაცემთა ცხრილი. ღია მონაცემების გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ 80-მდე სპეციალისტს ჩაუტარდა პორტალის მოხმარების ტრენინგი.

## სახელმწიფოს ელექტრონული სერვისების კატალოგის შექმნა

სერვისების კატალოგი გულისხმობს G3-ში ინტეგრირებული სერვისების სტრუქტურირებულ სიას, რომელშიც აღწერილია სერვისების ბიზნეს-ლოგიკა და მათი ტექნიკური სტრუქტურა. ღია მონაცემებთან ერთად ეს სერვისები ბიზნეს-სუბიექტებისთვის წარმოადგენს ახალი, დამატებითი ღირებულების ელექტრონული მომსახურების შექმნის საშუალებას.

პროექტის მოზანია ინფორმაციისა და სერვისის მიწოდების გზით ბიზნეს-სექტორისთვის სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ელექტრონული სერვისების რეალიზაციის შესაძლებლობის გზრდა.

პროექტის ფარგლებში შექმნილია ბიზნეს ანალიზის დოკუმენტი. განხორციელებულია სერვისების კატალოგის ტექნიკური რეალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი, მომზადებულია სატრენინგო მასალები და პრეზენტაციები სისტემის სამიზნე აუდიტორიისთვის.

## TWINING-ის პროექტი - „საქართველოს ელ-მმართველობის განვითარების ხელშეწყობის შესახებ“

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით. ევროკავშირის მხრიდან პროექტზე პასუხისმგებელია ავსტრია-გერმანიის კონსორციუმი, პროექტის ბიუჯეტი 1 270 000 ევრო.

საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის მიზანია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდის, ელექტრონული მმართველობის განვითარების კოორდინირებასა და ხელშეწყობი საკანონმდებლო/მარეგულირებელი/ტექნიკური გარემოს, სამთავრობო სტრუქტურებს შორის მზარდი ურთიერთთავსებადობასა და ინსტიტუციონალური საინფორმაციო უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობა. პროექტის განხორციელება დაიწყო 2012 წლის დეკემბრის მეორე ნახევრიდან.

პროექტის ფარგლებში 2014 წელს განხორციელდა 44 ექსპერტული მისია საქართველოში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 40-მა საერთაშორისო ექსპერტმა ავსტრიიდან, გერმანიიდან, დანიიდან, უნგრეთიდან, ესტონეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან. ეს ექსპერტები წარმოადგენენ ელექტრონული მმართველობის სფეროში თავიანთი ქვეყნების წამყვან სპეციალისტებს. 2014 წელს შედგა 27 კონფერენცია/სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ასეულობით ქართველმა სპეციალისტმა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებიდან.

პროექტი დასრულდა 2014 წლის აგვისტოში. პროექტის ფარგლებში ფარგლებში განხორციელდა ელ-მმართველობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება, მომზადდა სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ურთიერთთავსებადობის და ურთიერთჩართულობის ჩარჩო დოკუმენტის სამუშაო ვერსია; განხორციელდა სააგენტოს თანამშრომლების ტრენინგი და საერთაშორისო სერტიფიცირება, მომზადდა ელ - საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტი და ელ-მმართველობის სამოქმედო გეგმა ([http://dea.gov.ge/?action=page&p\\_id=157&lang=geo](http://dea.gov.ge/?action=page&p_id=157&lang=geo)), ეს ბოლო აქტივობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამ დოკუმენტების შემუშავებაში უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას, როგორც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლები, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის მაღალი რანგის IT მენეჯერები და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წამყვანი სპეციალისტები. დოკუმენტი აერთიანებს რამდენიმე ათეულ პროექტსა და ინიციატივას, რომელთა განხორციელება დაგეგმილია 2014-2018

წლებში, მათ განხორციელებაში ჩართულია ათეულზე მეტი სახემწიფო და არასამთავრობო დაწესებულება.

2014 წლის მეორე ნახევარში დაიწყო დამმობიბილების პროექტის მეორე ფაზის განხორციელებაზე მუშაობა. შემუშავებული იქნა პროექტს აღწერილობა, ლოგიკური ჩარჩო, ბიუჯეტი და განხორციელების განრიგის დოკუმენტები. დოკუმენტები შეთანხმდა ევროდელეგაციის საქართველოსა და ბრიუსელის ოფისებთან. შეთანხმების შესაბამისად 2015 წლის დასაწყისში გამოცხადდება კონკურსი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის პროექტის განხორციელებაზე.

### **სხვა აქტივობები**

- შემუშავდა სოლიდარობის ფონდის პროგრამული უზრუნველყოფა;
- აღწერილია აუცილებელი ავტოდაზღვევის მართვის სისტემის ფუნქციონალი;
- ტექნიკურად რეალიზებულია IP & Domain Monitoring სისტემები.

## ***ინფორმაციული უსაფრთხოება***

### **საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“**

2008 წლის აგვისტოს საქართველოს წინააღმდეგ მასშტაბური კიბერ-შეტევების შედეგად, სამთავრობო უწყებებისა და კერძო სექტორის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების მზარდმა გამოყენებამ დღის წესრიგში დააყენა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების საკითხი. ამ საჭიროებებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მარეგულირებელი წესების დაზუსტება და რეგლამენტირება. ამ ამოცანების გადაწყვეტის მიზნით, შემუშავდა და მიღებულ იქნა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის 1 ივლისს.

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონის ქვაკუთხედს წარმოადგენს „კრიტიკული საინფორმაციო სისტემის“ ცნება. კერძოდ, საუბარია კრიტიკული ინფრასტრუქტურის სახელმწიფო და კერძო სუბიექტებზე, რომელთა განუწყვეტელი ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. ამგვარი სუბიექტების განსაზღვრისას, გამოყენება ისეთი კრიტერიუმები, როგორცია ინფორმაციული სისტემის მწყობრიდან გამოსვლის სავარაუდო შედეგების სიმძიმე და მასშტაბი, ეკონომიკური ზარალი, მომსახურების აუცილებლობა, მომხმარებელთა რაოდენობა და სხვა.

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტისათვის ადგენს მთელ რიგ ვალდებულებებს. უპირველეს ყოვლისა, ყოველ სუბიექტს უნდა გააჩნდეს ინფორმაციული უსაფრთხოების შიდასამსახურებრივი პოლიტიკა, რომელიც ISO 27000 საერთაშორისო სტანდარტის მინიმალურ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. ამგვარად მიღებული

შიდასამსახურებრივი წესების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტს, ინფორმაციული სისტემის შეღწევადობის (მდგრადობის) ტესტირებას და კომპიუტერული ინციდენტების აღმოჩენაზე გამიზნული ქსელური სენსორის დაყენებასა და მართვას. კანონი ასევე არეგულირებს კიბერ-უსაფრთხოების საკითხებს, რაშიც ქვეყნის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების დაცვის მნიშვნელოვან როლს ანიჭებს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ეროვნულ ჯგუფს (CERT.GOV.GE). ეროვნული CERT-ის მოვალეობებს არა მხოლოდ კომპიუტერული ინციდენტების გამოვლენა, პრევენცია და შედეგების მართვა, არამედ საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებაც და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაც წარმოადგენს.

2014 წელს ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დანერგვა დაიწყო 10-მა სახელმწიფო დაწესებულებამ;

2014 წელს ჩატარდა 5 ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შექმნასა და დანერგვაში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების 130-მდე თანამშრომელმა.

კიბერ-უსაფრთხოების სტარტეგიის ფარგლებში მონაცემთა გაცვლის სააგენტომ განახორციელა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში კიბერ-უსაფრთხოების შეფასება. შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომელიც შეავსო 36-მა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციამ. კითხვარის ადმინისტრირების, დამუშავებისა და ანალიზის შედეგად შემუშავდა შეფასების ანგარიშის დოკუმენტი. რომელიც მოიცავს კიბერ-უსაფრთხოების დონის ანალიზს.

### **კონსულტაცია ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დანერგვაში**

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან და საკარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმდა ხელშეკრულებები ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დანერგვის საკონსულტაციო პროექტთან დაკავშირებით. მომზადდა პროექტის ინიცირების დოკუმენტაცია და დეტალური სამოქმედო გეგმა, დაკომპლექტდა პროექტის სამუშაო ჯგუფები; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტში ჩართული იყო საერთაშორისო კონსულტანტი პოლონეთიდან. პროექტი წარმატების დასრულდა პროექტის განხორციელება 2014 წლის ოქტომბერში, მიმდინარეობს სააგენტოს მომზადება ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო სერტიფიცირებისთვის;

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შემუშავდა საპროექტო დოკუმენტაცია - დაინტერესებული მხარეების ანალიზის დოკუმენტი, საკომუნიკაციო გეგმა და პროექტის დეტალური გეგმა-გრაფიკი (განტის დიაგრამა). განხორციელებულია პროექტის შემდეგი კომპონენტები: დატრენინგებულია სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლები საბაზისო უნარ-ჩვევებსა და ნორმატიულ ბაზაში, შემუშავებულია ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და მართვის სისტემის მიმართ მოთხოვნების დოკუმენტი. დაწყებულია რისკების შეფასება.

## **მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით**

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჯგუფს ჩაუტარდა Lead Implementer BSI 27001:2013 5 დღიანი ტრენინგი და Transition Course 27001 lead audit 2 დღიანი ტრენინგები. ჯგუფის წევრებმა წარმატებით ჩააბარეს სასერთიფიკაციო გამოცდა.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს 2-მა თანამშრომელმა წარმატებით ჩააბარა ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციის (ISACA) მიერ ორგანიზებული სასერტიფიკაციო გამოცდა ე. სტამბულში და გახდნენ ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული აუდიტორები, ანუ მიენიჭათ CISA -ის წოდება.

### **CERT.GOV.GE - პარტნიორები, სერვისები და პროექტები:**

CERT (Computer Emergency Response Team) კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი შეიქმნა 2011 წელს, რომელიც ახორციელებს ქვეყნის მასშტაბით კიბერ ინციდენტების აღმოჩენასა და მათზე რეაგირებას. CERT.GOV.GE თავის მომხარებლებს ეხმარება კიბერ-ინციდენტების პრევენციაში.

### **პარტნიორები**

CERT.GOV.GE-მ აქტიური ურთიერთობა დაამყარა მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის:

- Impact-alliance
- TF-CSIRT Trusted-Introducer
- NATO
- FIRST
- Microsoft

აგრეთვე კიბერ უსაფრთხოების სფეროში ცნობილ ორგანიზაციებთან:

- Shadowserver
- Team-Cymru
- Arbornetworks
- N6&Arakis (CERT Polska)
- Clean MX
- QuarantineNet
- INTECO CERT

აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად საქართველოში აღმოფხვრილია მრავალი სერიოზული კიბერ-ინციდენტი.

მონაცემთა გაცვლის სააგენტო სააგენტო პარტნიორი ორგანიზაციებისგან ყოველდღიურად იღებს ანგარიშს დაინფიცირებული ქართული IP მისამართების შესახებ. ასეთი მისამართების

ყოველდღიური რაოდენობა 4000-დან 25000-მდე მერყეობს. CERT.GOV.GE-ს აქტიური ურთიერთობა აქვს ავსტრიის, პოლონეთის, ესტონეთის, უკრაინისა და გერმანიის CERT ჯგუფებთან.

## სერვისები

- CERT.GOV.GE ახორციელებს თავისი მომხარებლების ვებ რესურსების შემოწმებას შეღწევადობასა და მდგრადობაზე. 2014 წელს გნხორციელებულდა საჯარო რეესტრის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციის, საქართველოს პარლამენტის და სამოქალაქო პრესის საიტების ტესტირება.
- კომპიუტერულ სისტემაში შეღწევადობის ტესტი პოტენციური მომხარებლებისთვის შეთავაზებული იქნა პრესისა და ელექტრონული მედიის საშუალებით, შედეგად 5 ორგანიზაციაში განხორციელდა აღნიშნული სერვისი;
- CERT.GOV.GE ახორციელებს აღმოჩენილი დაინფიცირებული რესურსისა და დამაინფიცირებელი კოდის (ვირუსის) ანალიზს, მათი ფუნქციონალის გამოკვლევას, რის შედეგაც მათი გაუვნებლყოფის რეკომენდაციები მზადდება;
- მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ჩაატარა აუდიტი ქალაქ ბაქოში აზერბაიჯანულ CERT-თან, მათი First.org ში გაწვევრიანების პროცესის ფარგლებში;
- CERT.GOV.GE-ს მიენიჭა საერთაშორისო დონეზე CERT აბრივიატურის გამოყენების ოფიციალური უფლება;
- ხელი მოეწერა მოლდოვის CERT-თან თანამშრომლობის მემორანდუმს.
- გაეშვა დაინფიცირებული ვებ საიტების აღმოჩენის სისტემა Thread Factor,

## საერთაშორისო კონფერენციებში და შეხვედრებში მონაწილეობა 2014 წელს

- ქალაქ ტალინში შედგა კიბერუსაფრთხოების კოორდინაციის საკითხებზე მიმდვნილი რეგიონული ვორკშოპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს CERT.GOV.GE-ს ექსპერტებმა;
- მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ბიშკეკში ჩატარებულ კიბერუსაფრთხოების სემინარში;
- თბილისში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ხელშეწყობით ჩატარდა FIRST.ORG-ის პირველი რეგიონული სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 ქვეყნის 50-მდე სპეციალისტმა;
- ქალაქ ციურიხში შედგა CERT.GOV.GE-ს შეხვედრა Switzerland CERT-თან. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღეს კომპიუტერული ინციდენტების მართვის სფეროში წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციის TI-ის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმში;
- CERT.GOV.GE-ს ჯგუფმა საერთაშორისო ITU-ს კონფერენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო თურქეთში CyberShiled 2014-ზე;

## კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების სისტემა

შემუშავდა ინციდენტებზე რეაგირების სისტემა, რაც გულისხმობს დარეგისტრირებული მომხმარებლის მიერ ინციდენტების ონლაინ წარდგენას, რომელზე დაუყოვნებელ რეაგირებასაც მოახდენს CERT.GOV.GE. ამასთან, ინციდენტის წარმომდგენ მხარეს ონლაინ რეჟიმში ექნება

შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია ინციდენტზე რეაგირების თითოეული საფეხურის შესახებ და განახორციელოს უკუკავშირი ინციდენტის აღმოფხვრამდე და მის შემდეგაც.

კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების სისტემა შეიქმნა საერთაშორისო სისტემის RTIR-ის ბაზაზე კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის. 2014 წელს გაეშვა კიბერ-ინციდენტების მართვის განახლებული სისტემა OTRS. სისტემის ამუშავების შემდეგ, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში დაფიქსირდა 350 ინციდენტი. ყველა დარეპორტებულ ინციდენტზე კომპიუტერულ ინციდენტების რეაგირების ჯგუფმა მოახდინა რეაგირება.

## **კიბერ-სავარჯიშო cyber-exe 2014**

კიბერ სავარჯიშო ითვალისწინებს ორ ჯგუფს, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან იმიტირებულ ინფრასტრუქტურის დაცვაზე და ინფრასტრუქტურაზე იმიტირებულ შეტევაზე. სავარჯიშოში მონაწილეებს აქვთ სხვადასხვა გზების ამორჩევის საშუალება და მათი უნარების გამოყენების შესაძლებლობა. სავარჯიშოებში გამოყენებულია წამზომის ფუნქცია, რაც გამოავლენს საუკეთესო მონაწილეებს. ასევე სავარჯიშოების დასრულების შემდეგ დგება ანგარიში, რომელშიც აღწერილი იქნება კიბერ-სავარჯიშოების თვითოეული დეტალი და მისი მიმდინარეობის პროცესი.

2014 წლის სექტემბერში საერთაშორისო კონსულტატის მხარდაჭერით გაიმართა პირველი კიბერ-სავარჯიშო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 16 ორგანიზაციის 40-მდე წარმომადგენელმა.

## **შავი სიები ორგანიზაციებისთვის**

კომპიუტერული ინციდენტების რეაგირების ჯგუფი სერვისის ფარგლებში დაინტერესებულ ორგანიზაციებს აწვდის IP მისამართების ე.წ. შავი სიებს. შავ სიებში შესულია ისეთი IP მისამართები, რომლებიც ავრცელებენ სხვადასხვა სახის ინფიცირებას ან წარმოადგენენ კომპიუტერების სამართავ დავირუსებულ ცენტრებს (Bot C&C).

IP მისამართების აღნიშნული სიების მიხედვით დაბლოკვის შემთხვევაში, ორგანიზაციის კომპიუტერებზე მაქსიმალურად იქნება შემცირებული იტნერნეტიდან შემოსული მავნე კოდების რაოდენობა. ასევე უკვე დაინფიცირებულ კომპიუტერებს კი აღარ შეეძლება კრიმინალის მართვის ცენტრთან დაკავშირება.

სერვისის შემუშავება დასრულებულია. დაგეგმილია მარკეტინგული კამპანიის განხორციელება სამიზნე ორგანიზაციების ინფორმირებისთვის.

## **უსაფრთხო ინტერნეტის სერვისი (Safe DNS)**

სერვისის მიზანია მომხმარებლებს შეუმციროს რისკი იმისა რომ ისინი მოხვდნენ მავნე კოდის, ან არასაბავშვო შინაარსის შემცველ ვებ-გვერდზე.



სერვისის ფარგლებში დაკონფიგურდა უსაფრთხო DNS სერვერი, რომლის მოხმარების შემთხვევაში ქსელში ავტომატურად იქნება დაბლოკილი ისეთი ვებგვერდები, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ კომპიუტერებისთვის. საუბარია არასაბავშვო, დაინფიცირებულ და ე.წ. „ფიშინგ“ კონტენტზე. სერვისის გააქტიურებისას მაქსიმალურად მცირდება რისკი, კომპიუტერი დაინფიცირდეს.

აღნიშნული სერვისის გამოყენება შესაძლებელია როგორც ორგანიზაციებისთვის, ისე კერძო პირებისთვის.

სერვისი გაშვებულია, ამ ეტაპზე იყენებს 350 უნიკალური მომხმარებელი.

## **ვებ-გვერდების მონიტორინგის სისტემა**

სისტემის მიზანია საქართველოს ვებსივრცეში მავნე და გატეხილი ვებგვერდების იდენტიფიკაცია.

სისტემა ყოველდღიურად ამოწმებს 2000 ყველზე აქტიურ ვებგვერდს, რომელიც განთავსებულია ქართულ ვებსივრცეში. სისტემას შეუძლია შეამოწმოს ვებგვერდი თუ შეიცავს მავნე კოდს და თუ აკეთებს გადამისამართებას სხვადასხვა ვებგვერდებზე რომელიც არის სახიფათო. სისტემა ასევე ამოწმებს ვებგვერდზე მოხდა თუ არა ეგრეთწოდებული დიფეისი ან მიმდინარეობს თუ არა ფიშინგი.

სისტემის შემუშავება დასრულებულია, გაგზავნილია 30-ზე მეტი შეტყობინება.

## **ტრენინგები ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკასა და კომპიუტერული ინციდენტების თემაზე**

- ჩატარდა პროკურატურის თანამშრომლების ტრენინგი კიბერ უსაფრთხოების სფეროში;
- მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ჩაატარა 5 დღიანი ტრენინგი ინფორმაციულ უსაფრთხოების მართვის სისტემის საფუძვლებში.
- მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ჩაატარა 3 დღიანი ტრენინგი კიბერ ინციდენტებზე რეაგირების საფუძვლებში.
- ბანკების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დანერგვაში;
- თურქეთში Nato SPS პროგრამის ფარგლებში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებმა ჩაატარეს 2 ტრენინგი მოლდოველი და აზერბაიჯანელი სპეციალისტებისთვის. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო აღნიშნული ქვეყნების 40-მდე წარმომადგენელმა.

## **საზოგადოებასთან ურთიერთობა**

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ორგანიზაციის საქმიანობის ცნობადობის ფორმირებას და პარტნიორული

ორგანიზაციების იდენტიფიცირებას.

სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულების მიმართულებით 2014 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- MY.GOV.GE - ახალი დიზაინი, სერვისები და ფუნქციონალი. სააგენტოსთან ასოცირება, სერვისების ინტეგრაცია. სხვადასხვა ცალკეული ელ. სერვისების გამოყენების პოპულარიზაცია. **მედია არხები:** ტელევიზია, პრესა, რადიო, სოციალური ქსელი;
- მოქალაქის პორტალის სარეკლამო კამპანიების ორგანიზება;
- ელ.მმართველობის სახელმძღვანელოს მომზადება და დაბეჭდვა. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საქმიანობის ანგარიშის მომზადება და დაბეჭდვა;
- GITI კონფერენცია 2014;
- ყოველთვიური საინფორმაციო ფურცელი;
- კომპანია „მაიკროსოფტთან“ ერთად მომზადებული წარმატებული თანამშრომლობის ისტორია - ვიდეორგოლი;
- სემინარი მედიის წარმომადგენლებისთვის, მეორე ნაკადი;
- TFS პროექტის ინფორმაციული მხადრაქერა, მიზნობრივ ჯგუფებთან საკომუნიკაციო მუშაობა. **მარკეტინგული ღონისძიებები:** სატელევიზიო რგოლები, ბროშურები;
- სააგენტოს ვებგვერდების და სოციალური მედიის მართვა;
- ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების მომზადება და განხორციელება (ბეჭდური მასალა, ვიდეო რგოლები); საგანმანათლებლო შეხვედრები